№ 266 მთავრობის მოამბე

საქართველოს რესპუბლიკა

ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲛᲝᲐᲛᲑᲔ

ᲞᲝᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ

ᲧᲝᲚᲘᲜᲬᲐᲓᲘ ᲛᲔᲡᲐᲛᲔ

ᲤᲐᲡᲘ 10 ᲛᲐᲜ. ᲡᲐᲛᲨᲐᲑᲐᲗᲘ, ᲜᲝᲔᲛᲑᲠᲘᲡ 23 1920 წ.

მთავრობის მოამბე, ყოველდღიური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)

საქართველოს რესპუბლიკა

გაზეთი ღირს თვეში 200 მან., ცალკე ნომერი ყველგან 10 მან. განცხადების ფასი 1-ლ გვ. პეტიტის სტრიქ. 15 მან. 4-ხე გ. 10 მან. სამგლოვიარო განცხ. ჩვეულებრივი ზომის (15—2) 300 მ., განცხ. საბუთების დაკარგვის შესახებ 160 მ. სასამართლ. უწყ. განცხადებანი 120 მ. ნისია განცხ. დაბეჭდვა ღირს ნიხრზე მეტი 20% რედაქციის და კანტ. მისამართი: ტფ., ბარონის ქ. № 6. ტელეფ. 1—82.

სახელმწ. თეატრი.

ოპერა.

სამშაბათს, 23 ნოემბერს საბალეტო წარმოდგენა მორდკინისა

„ᲨᲘᲖᲔᲚᲘ“

და ხორეოგრაფიული ეტიუდი. ოთხშაბათს, 24 ნოემბერს საღამო რომელსაც მართავს ბავშთა და დედობის დამცველი საზოგადოება. ხუთშაბათს 25 ნოემბერს მე-3 ქართულ ენაზე ოპერა „ლალატი“.
დასაწყისი სრულ 8 საათზე საღამოს. 972 1—1

სახელმწიფო დრამის თეატრი
(ყოფილი არტისტიული—რუსთველის ქრ. № 21. ტელ. 8-07)
დღეს, ნოემბრის 23-ს მეორეჯერ.

უგვირგვინო მეფენი

ახალი დეკორაციები მხატვარის ვალ. ხიდამონ-ერისთავისა.
დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

ხუთშაბათს, ნოემბრის 25-ს 1. „დარისპანის გასაჭირი“, 2. „ირინეს ბედნიერება“. შაბათს, ნოემბრის 28-ს „ზღვასთან“—ენგე ისა ბილეთები კასაში.
971 1—1

საქართველოს სახაზინო რკინის გზების

სამასალო მთავარ საწყობში,

ᲐᲛ ᲥᲐᲛᲐᲓ ᲝᲗᲮᲘ ᲛᲝᲠᲘᲣᲐᲠᲐ

ნავთიდან განთავისუფლებულმა ცარიელმა ბოჭკებმა 1069, რომლებიც შემორჩა საქართველოში ბაქოსთან მიმოსვლის შეწყვეტის დროს.

ᲐᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲠᲙᲘᲜᲘᲡ ᲒᲖᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲐᲡᲐᲚᲝ ᲜᲐᲬᲘᲚᲘ

სთხოვს ზემოხსენებულ ბოჭკების პატრონებს გამოცხადდენ სამასალო ნაწილში, მათ მისაღებათ, უკეთუ ღღიდინ ამ განცხადებისა, 15 დღის განმავლობაში არ გამოცხადდებიან პატრონები, მაშინ ბოჭკები საჯარო ვაჭრობით იქნება გაყიდულნი. ამასთანავე სამასალო ნაწილი აცხადებს, რომ ამ ნავთის და ყოველივე მისი ნაწარმოების ღირაბულებამ, რომელიც იყო დაკვებული საქართველოს დემ. რესპ. ტერიტორიაზე მიეცემა მეპატრონეებს ანგარიშის წარმოდგენის შემდეგ.
1000 2—1

საქართველოს რკინის გზათა სამმართველო

ᲐᲛᲘᲗ ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲡ,

რომ 26 და 30 ნოემბერს 1920 წ. დილის 10 საათზე

ᲐᲣᲥᲪᲘᲝᲜᲘᲗ ᲒᲐᲘᲧᲘᲓᲔᲑᲐ

გაქვავებული ცემენტი შემდეგ ადგილებში: 26 ნოემბერს ტფილისში მთავარ სამასალო საწყობში—36 ბოჭკა, ლიანდაგის და შენობათა სამსახურის მეექვსე უბნის საკუჭნაოში—40 ბოჭ., ხოლო 30 ნოემბერს, სამტრედიის სამასალო საწყობში—24 ბოჭ., ლიანდაგის და შენობათა სამსახურის საკუჭნაოში: მეოთხე უბნ. სად. შორაპანში—60 ბოჭ., მესამე უბნ. სადგ. ქუთაისი—81 ბოჭკა და მეორე უბნის სად. ფოთში—151 ბოჭკა.
დაწვრილებით ცნობების მიღება შეიძლება: საქ. რესპუბლიკ: რკინის გზათა სამმართველოს სამასალო განყოფილებაში.
1000 2—1

ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲐ.

ᲒᲐᲜᲙᲐᲠᲒᲣᲚᲔᲑᲐᲜᲘ

საბიუჯეტო-სახაზინო ნაწილის უფროსისა.

№ 314.

დაინიშნოს: ბათომის ხაზინაში რეგისტრატორის თანამდებობაზედ ერმალოზ იოსების ძე წულაია ამა წლის ოქტომბრის 1-დან.

№ 320.

დამტკიცებულ იქნას: რეგისტრატორის თანამდებობაზედ ტფილისის ხაზინაში, დროებით დაქირავებული ანასტასია ბორისის ასული ზურაკაშვილი ა. წ. ოქტომბრის 1-დან.

№ 321.

დათხოვნილ იქმნას: თანამდებობიდან და სრულიად სამსახურიდან, თანახმად თავისი თხოვნისა ტფილისის ხაზინის რეგისტრატორი ალექსანდრე სოლომონის ძე ნაცვლიშვილი ა. წ. ოქტომბრის 1-დან.

№ 328.

დაინიშნოს: ჭიათურის ხაზინაში რეგისტრატორის თანამდებობაზედ დიმიტრი გიორგის ძე წერეთელი ა. წ. ავგისტოს 10-დან.

№ 329.

დაინიშნოს: ახალციხის ხაზინის რეგისტრატორი ავგუსტინე იაკობის ძე იგითხანაშვილი იმავე ხაზინაში მოანგარიშე მოხელეს თანამდებობაზედ ა. წ. ოქტომბრის 1-დან.

№ 338.

დათხოვნილ იქმნას: თანამდებობიდან და სრულიად სამსახურიდან, თანახმად თავისი თხოვნისა, სენაკის ხაზინის 1 ხარისხის მოლარე არსენი ჭათუს ძე შეროზია ა. წ. სექტემბრის 27-დან.

№ 339.

დათხოვნილ იქმნას: თანამდებობიდან და სრულიად სამსახურიდან, თანახმად თავისი თხოვნისა, ფოთის ხაზინის რეგისტრატორი რაჟდენ ნესტორის ძე რუსია ა. წ. სექტემბრის 18-დან.

№ 343.

დათხოვნილ იქმნას: თამადებობიდან და სრულიად სამსახურიდან, საბიუჯეტო-სახაზინო ნიწილის ბუხჰალტერი სიმონ დავითის ძე ბეჟანიშვილი სამსახურში გამოუცხადებლობის გამო ა. წ. ივლისის 17-დან.

№ 344.

დაინიშნოს: ბათომის ხაზინის უფროსი მოლარე ვლადიმერ ასლანის ძე კუბლაშვილი იმავე ხაზინაში უფროსი ბუჰბალტრის თანამდებობაზედ ა. წ. ოქტომბრის 1-დან.

№ 345.

დაინიშნოს: ბათომის ხაზინის 1 ხარისხის ბუჰბალტერი პეტრე ბელოუსოვი იმავე ხაზინაში უფროს მოლარეს თანამდებობაზედ ა. წ. ოქტომბრის 1-დან.

№ 346.

დაინიშნოს: ბათომის ხაზინის რეგისტრატორი ივანე იასეს ძე ჩახვაძე იმავე ხაზინაში მოანგარიშე მოხელეს თანამდებობაზედ ა. წ. ოქტომბრის 1-დან.

№ 348.

დათხოვნილ იქმნას: თანამდებობიდან და სრულიად სამსახურიდან თანახმად თავისი თხოვნისა ოზურგეთის ხაზინის რეგისტრატორი ეკატერინე სამსონის ასული ჯაყელი, ა. წ. ოქტომბრის 1-დან,

№ 349.

დათხოვნილ იქმნას: თანამდებობიდან და სრულიად სამსახურიდან თანახმად თავისის თხოვნისა საბიუჯეტო-სახაზინო ნაწილის რეგისტრატორი თამარ გიორგის ასული ტოროშელიძე ა. წ. სექტემბრის 6-დან.

№ 352.

დაინიშნოს: ქუთაისის ხაზინაში რეგისტრატორის თანამდებობაზედ შალვა ალექსის ძე ნუსაბერიძე ა. წ. ოქტომბრის 9-დან.

№ 354.

დათხოვნილ იქმნას: თანამდებობიდან და სრულიად სამსახურიდან ბათომის ხაზინის რეგისტრატორი ვერა ლაზარეს ასული ფხაკაძე სამსახურში გამოუცხადებლობის გამო ა. წ. სექტემბრის 15-დან.

№ 356.

დათხოვნილ იქმნას: თანამდებობიდან და სრულიად სამსახურიდან, თანახმად თავისი თხოვნისა, სოხუმის ხაზინის რეგისტრატორი ზინაიდა ფეოდორის ასული სიდოროვა, ა. წ. ოქტომბრის 9-დან.

საბიუჯეტო-სახაზინო ნაწილის
უფროსის მაგიერ **დ. ქუთათელაძე.**

—

ფოსტა-ტელეგრაფის და ტელეფონის სამმართველოს უფროსისა.

1 ოქტომბერი, 1920 წ., № 51.

გამწესებულნი არიან: ყოფილი ფოსტალიონი არტემ კახიანი პირველი კატეგორიის ფოსტალიონათ ტფილისის ფოსტის განყოფილებაში. ყოფილი მექანიკოსი ალექსანდრე მატინოვი ტფილისის ტელეფონის ქსელზე. უმცროს მექანიკოსად მაღალი ჯამაგირით. ყოფილი ზედამხედველები: პეტრე კიკული და იოსებ არაბაშვილი ხელახლად ზედამხედველებათ: კიკული დაბალი ჯამაგირით დუშეთში, არაბაშვილი მაღალი ჯამაგირით გურჯაანში. მოქალაქე კირილე დიდიძე და მარიამ გვლესიანი 6 ხარისხის მოხელეებათ: დიდიძე—ქუთაისში, გველესიანი—თიანეთში. კახიანი 18 სექტემბრიდან, მატინოვი 1 სექტემბრიდან, დანარჩენნი 1 ოქტომბრიდან. არაბაშვილი და დიდიძე თანამდებობის აღმასრულებლად.

დანიშნულნი არიან: სამტრედიის III ხარ. მოხელე პანტელეიმონ ნიკურაძე 4 ხარ. იმავე კანტორაში. ტფილისის ფოსტის კანტორის მეორე კატეგორიის ფოსტალიონი აბესალომ კოხრეიძე პირველ კატეგორიით იმავე კანტორაში ორივე 1 ოქტომბრიდან:

გადაყვანილნი არიან: ფოსტა-ტელეგრაფის მოხელენი; ბათომის 4 ხარ. მარიამ ტატიშვილი, ყაზბეგის 6 ხარ. ფარნაოზ ქავთაროვი; ზედამხედველები: გურჯაანის მაღალი ჯამაგირისა სტეფანე კრეპსი, გორის—მიხეილ ალშკოვსკი, დუშეთის დაბალი ჯამაგირისა ნესტორ ჭუმბურიძე, ფოსტალიონები: სამტრედიის ავქსენტი ჩხაიძე, ქუთაისის ავქსენტი ბოხუა დედოფლის—წყაროსი გიორგი ჯგუშია შემდეგ დაწესებულებებში: ტატიშვილი, პაშკოვსკი ტფილისის ტელეგრაფის კანტორაში, ჭუმბურიიე ტფილისის ტელეფონის ქსელზე, ქავთაროვი ბორჯომში, კრეპსი სართაფალაში, ჩხაიძე ქუთაისში, ბოხუა სამტრედიაში, ჯგუშია საგარეჯოში. ყველანი 1 ოქტომბრიდან. კრეპსი და ჯგუშია სამსახურის სასარგებლოთ, დანარჩენნი თანახმად თხოვნისა.

დათხოვნილნი არიან სამსახურიდან: ტფილისის ტელეფონის ქსელის უმცროსი მექანიკოსი მაღალი ჯამაგირით სერგო კარამურზა, ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეები: 3 ხარ. ტფილისის რკინის გზის განყოფილებისა თამარ კალაშნიკოვი, ახალციხის 6 ხარ. ირაკლი ცომაია; კალაშნიკოვი თანახმად თხოვნისა 1 სექტემბრიდან, კარა-მურზა და ცომაია 1 ოქტომბრიდან: კარა-მურზა თანახმად თხოვნისა.

სამმართველოს უფროსი **მგელაძე.**

—

იუსტიციის მინისტრისა.

19 ნოემბერი, 1920 წ., № 412.

განთავისუფლებულ იქმნეს: თანამდებობიდან და სრულიად სამსახურიდან თიანეთის უბნის გამომძიებლის თანამდებობის აღმასრულებელი ვასილ კორინთელი სასამართლო უწყებაში დატოვებით ამა წლის ნოემბრის 20 დან.

იუსტიციის მინისტრი **ა. არსენიძე.**

—

საქართველოს სენატის თავმჯდომარისა.

15 ნოემბერი, 1920 წ., № 42.

დაშვებულია: სენატის იასაულის თანამოებობის აღსრულებისათვის მოქალაქე სევერიანე ივლიანის ძე კოხრეიძე 1920 წლის ნოემბრის 15-დან, სამსახურისათვის სამოქალაქო საკასაციო დეპარტამენტში მივლენით.

საქართველოს სენატის თავმჯდომარე
დ. ხელთუფლიშვილი.

ᲐᲠᲐ ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲐ.

ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲐᲨᲘ.

მთავრობის თავმჯდომარის სახელზე შემდეგი დეპეშა მოვიდა: გარე კახეთის მასწავლებელთა კავშირის სხდომა მიესალმება საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის ბედს და უსურვებს მას გამარჯვებას ყოველ დაბრკოლებაზე. მასწავლებელთა კავშირი ფიცსა სდებს, რომ იგი უკანასკნელ სისხლის წვეთამდე დაიცავს რესპუბლიკას მტრეებისაგან გაუმარჯოს რესპუბლიკის სახელოვან ჯარსა და გვარდიას.

ბათომის ახალგაზრდა მარქსისტები მიესალმებიან მთავრობის თავმჯდომარეს და უსურვებენ მას ხანგრძლივ ჯანმრთელობას, ახალგაზრდობას ღრმათა სწამს რომ საქართველოს დემოკრატია, თავისი ბელადის ბრძნულ ხელმძღვანელობით შესძლებს ყოველგვარ გასაჭირიდან გამოსვლას.

გურიის სახალხო გვარდიის წარმომადგენელთა ყრილობამ მოისმინა რა მთავარ შტაბის წევრის გ. ფალავას მოხსენება საგარეო პოლიტიკის შესახებ, სრულიად მოიწონა მთავრობის ნაბიჯები და ფიცსა სდებს დამფუძ-

ნებელ კრებისა მთავრობისა და მთავარ შტაბის წინაშე, რომ გურიის სახალხო გვარდია პირველ დაძახებისთანავე დადგება იარაღით ხელში თავის პოზიციებზე სამშობლოს დასაცავად.

თელეთის თემის პირველი კრება მიესალმება მთავრობის თავმჯდომარეს და აცხადებს, რომ მთელი ხალხი მზათ არის მთავრობასთან ერთად დაიცვას რესპუბლიკა მტრებისაგანო.

დამფუძნებელი კრება

ოთხშაბათს, ნოემბრის 24-ს დამფუძნებელი კრება დაიწყებს კონსტიტუციის პროექტის განხილვას. კონსტიტუციის პროექტი მოხსენებისათვის განაწილებულია საკონსტიტუციო კომისიის წევრთა შორის შემდეგი წესით: მთავარ მოხსენებას პროექტის შესახებ საერთოდ გააკეთებს კომისიის თავმჯდომარე პ. საყვარელიძე. თავი 1-ლი, მე-2 და მე-17 „ზოგადი დებულებანი“, „მოქალაქეობა“ და „კონსტიტუციის გადასინჯვა“—პ. საყვარელიძე. თავი მე-3 და მე-15 „მოქალაქის უფლებანი“ და „სახელმწიფო მოხელენი“—კ. ჯაფარიძე. თავი მე-4 და მე-5 „პარლამენტი“ და „აღმასრულებელი ხელისუფლება“—ს. ჯაფარიძე. თავი მე-6 „სასამართლო“—ს. დადიანი. მე-7 „სახელმწიფო ფინანსები“—ივ. გომართელი. თავი მე-8 „კონტროლი“—გ. გვაზავა. თავი მე-9 „სახელმწიფო თავდაცვა“—სპ. კედია. თავი მე-10 „ადგილობრივი მმართველობა“—მ. რუსია. თავი მე-11 და მე-13 „აფხაზეთისა, სამუსულმანო საქართველოსა და ზაქათალის ავტონომიური მმართველობა“ და „სოციალ-ეკონომიური უფლებანი“—აკ. ჩხენკელი. თავი მე-12 და მე-14 „სწავლა განათლება და სკოლა“ და „უმცირესობათა უფლებანი“—ლ. ნათაძე. თავი მე-16 „სახელმწიფო და ეკლესია“—ი. ბარათაშვილი. კონსტიტუციის პროექტის მიღება და დაკვეთა შეიძლება წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მაღაზიაში.

სოხუმის პროფ. კავშირთა საერთო კრებისაგან დამფუძნებელ კრების პრეზიდიუმმა მისასალმებელი დეპეშა მიიღო.

ჩაქვიდან დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმმა შემდეგი დეპეშები მიიღო: „მუხუს ტატეშის კონტრიშის თემის საზოგადო ყრილობამ ნოემბრის 18 მოისმინა რა მოხსენებები დამფუძნებელ კრების წევრების: ისიდორე რამიშვილის და ჰაიდარ აბაშიძის საქართველოს დღევანდელი საშინაო და საგარეო მდგომარეობის შესახებ, ყრილობა გამოსთქვამს თავის კმაყოფილებას მის გამო, რომ ყოველი მოქმედება და ნაბიჯები დამფ. კრებისა და მთავრობის ყოფილა მიმართული რესპუბლიკის მდგომარეობის გასამტკიცებლად და ხალხისა და თავისუფლების დასაცავად. ჩვენ ჩვენი მხრით უერთებთ ჩვენ სურვილებს და ძალონეს საქართველოს დემოკრატიას და მასთან ერთად ვიქნებით ჭირსა და ლხინში განუყრელად და აღუთქვამთ დახმარებას ყოველ საერთო საქმეებში რესპუბლიკას, დამფუძნებელ კრებას და მთავრობას. ამის გარდა ვიმედოვნებთ, რომ ჩვენს ოლქში ახლო მომავალში დამყარდება ხალხის თვითმართველობა ავტონომიურ ნიადაგზე.

ყრილობის თავმჯდომარე ჰაიდარ აბაშიძე.

უცხოეთი

(„ვოლნი გორეცი“-ს ცნობები)

გოცინსკი და შამილის შვილიშვილი.

გოცინსკის, რომელმაც მოაწყო ბოლშევიკების წინააღმდეგ დიდი აჯანყება თავის თანამდებობისთვის თავი დაუნებებია და სცხოვრობს თავის აულში | გოცატლში. დაღესტანის დღევანდელ მოძრაობის სათავეში იმყოფება შამილის შვილიშვილი ახალგაზრდა ყმაწვილი კაცი ჯერ ოცი წლისაა. იგი დიდ პერსპექტივებს შლის დაღესტნის გარშემო და მოსალოდნელია დაღესტანის მოძრაობაში დიდი როლი ითამაშოს.

აჯანყება თერგში.

თერგში აჯანყება ჯერ არა სცხრება. ამ ჟამად გროზნას და კავკავის ლიანდაგებზე მეტი სიმძაფრით სწარმოებს აქა იქ უკმაყოფილო ელემენტების გამოსვლები.

ალაგირის ხეობაში

ალაგირის ხეობაში მცხოვრებთა მობილიზაცია არის გამოცხადებული. მიჰყავთ 15 წ. ყმაწვილებიც კი. თერგის ოლქის „ჩეკის“ ბრძანებით ყველგან მზვერანი დაიარებიან და სჩხრეკავენ კონტრ-რევოლიუციონერებს. მათივე ბრძანებით მცხოვრებთ პურის და საქონლის რეკვიზიციას უკეთებენ.

(საინფორმაციო განყ. ცნობები).

ლოიდ ჯორჯის მიმართვა.

ლოიდ ჯორჯმა მიმართა ინგლისის მუშებს წერილით, სადაც აღნიშნული იყო, რომ მემარცხენეთა გაფიცვებმა მძიმე გავლენა მოახდინა მთელი ევროპის ინტერესებზე, რადგანაც ევროპის ეს ინტერესები დამოკიდებულია დიდი ბრიტანეთის მიერ მადნეული სათბობი მასალის შოვაზეო. ამიტომ მეტად ძნელია იმ ზარალისა და დაბრკოლებათა გადამეტება, რომელიც ინგლისის მუშებმა თავისი გაფიცვით მიაყენეს ევროპიელებსო.

კერზონის ნოტა.

ლორდმა კერძონმა საბჭოთა რუსეთის მიმართა ახალი ნოტით, რომელიც შეეხება მის მიერ კრასინისაგან მიღებულ ცნობებს. სხვათა შორის აღნიშნავს ინგლისის საწინააღმდეგო აგიტაციას, რომელსაც ეწევა საბჭოთა რუსეთში მთავრობა თვით რუსეთსა და აღმოსავლეთში განსაკუთრებით ანატოლიაში. ლორდი კერზონი წინადადებას აძლევს საბჭოთა რუსეთს დაამტკიცოს საქმითა და არა მარტო სიტყვით თავისი მისწრაფება მშვიდობიანობის დამყარებისაკენ.

ერთა ლიგაში.

ერთა ლიგის სხდომაზე ლიონ ბურჟუამ მოხსენება გააკეთა განიარაღების კომისიის მუშაობის შესახებ. სხვათა შორის წაიკითხეს პროექტი, რომელიც ომის დროს კრძალავს შხამიან გაზთა ხმარებას. პროექტი წინადადებას იძლევა დაუყონებლივ გამოირიცხონ ლიგიდან იმ სახელმწიფოთა წარმომადგენლები, რომელნიც ამ ერთად ერთ მოთხოვნილებას არ დაემორჩილებიან. ერთა ლიგამ ერთხმად მიიღო ეს პროექტი. დაადგინეს ავრეთვე კანტროლის დამყარება ფრენოსნობაზე. დასასრულ გადასწყვიტეს, რომ იმ სახელმწიფოებს, რომელნიც ეხლა შემოდიან ერთა ლიგაში მოსთხოვონ დაწვრილებითი ცნობები თავის ქვეყნის შეიარაღების შესახებ.

გაფიცვის შედეგები.

პრესა იუწყება ვარშავაში რკინის გზელთა გაფიცვის შესახებ. სურსათ-სანოვაგის შემოუტანლობა მძიმე გავლენას მოახდენს მცხოვრებლებზე. რკინის გზელებმა ეკონომიურ ხასიათის მოთხოვნილება წამოაყენეს.

ზინოვიევის განცხადება.

„ფორვერტსი“ იუწყება: ზინოვიევმა თავის გამოსვლების დროს საქსონიაში განაცხადა, რომ იგი არავითარ მნიშვნელობას არ აძლევს სავაჭრო დამოკიდებულების დამყარებას საბჭოთა რუსეთთან, რომელსაც თაქტიურად შეუძლიან ევროპაში შეიტანოს მხოლოდ ერთი საქონელი—ბოლშევიკური პროპაგანდა.

„ფორვერტსი“ სწერს: დასასრულ ზინოვიევმა მოუწოდა ხალხს შემოეღოთ შეუბრალებელი ტეროორი.

საფრანგეთის ჯარის შესახებ.

გაზეთები იუწყებიან: საფრანგეთის ჯარის შესახებ 1921 წ. ნავარაუდევია 8 მილიარდი და 690 მილ. ფრანკიო.

პლებისციტი საბერძნეთში.

ათინიდან იუწყებიან: კაბინეტის მიერ-მიღებულ გადაწყვეტილების თანახმად პლებისციტი მეფე კონსტანტინეს ტახტზე დაბრუნების საკითხის გამოსარკვევად ნოემბრის 28 შესდგება. კონსტანტინემ დეპეშით აუწყა მთავრობას, რომ იგი უცდის პლებისციტის შედეგებს, რის შემდეგაც იგი საბერძნეთში დაბრუნდება.

ავსტრიის კაბინეტი.

ვენიდან იუწყებიან: ეროვნულმა საბჭომ 94 ხმით (ქრისტიან სოციალისტებისა და პან-გერმანისტების) 54 წინააღმდეგ (სოციალისტების) მოიწონა ახალი კაბინეტის შემადგენლობა. მაიერი—საგარეო საქმეთა მინისტრი და მინისტრთა უმეტესობა ქრისტიან-სოციალისტთა პარტიას ეკუთვნის.

ზელიგოვსკი და ლიტვა.

ლონდონიდან მოსულ ცნობით გენ. ზელიგოვსკის შეტევა დაუწყია ლიტოველების წინააღმდეგ. გაურღვევია მათი ფრონტი და წინ წაუწევია რამდენიმე კილომეტრით. იგი უკან დახეულ მტერს სდევნის.

პოლონეთ-რუსეთის მოლაპარაკება.

რიგიდან მოსულ ცნობით დროებით შეუწყვეტიათ პოლონეთ-რუსეთის მოლაპარაკება. შაბათს იოფფემ პოლონეთის დელეგაციას გადასცა ნოტა, სადაც ნათქვამია: რადგანაც პოლონეთმა არ შეასრულა ნოემბრის 14 ოქმის დამატებითი მუხლი პოლონეთის ჯარების საზღვრებამდე უკან დახევის შესახებ, ამიტომ მოლაპარაკება შეწყვეტილ იქნება ამ პირობის შესრულებამდეო.

საბჭოთა რუსეთში

(გაზეთებიდან.)

სიძვირე მოსკოვში.

მოსკოვიდან ჩამოსულები გადმოგვცემენ, რომ მოსკოვში ჯერ ისევ აგვისტოს დამლევს სურსათ-სანოვაგეზე ასეთი ფასები ყოფილა: გირვანქა პური ღირებულა შავი—550 მანეთი, თეთრი—1000 მან., კვერცხი ათი ცალი—3500 მან., გირვანქა ერბო—4500 მანეთი, ხორცი გირვანქა—200 მანეთი, ნახევარი ჭიქა რძე—120 მან., ჩაი—1500 მან., შაქარი—5000 მან., ერთი კოჭის ძაფი—1000 მან., ერთი ნემსი—150 მან., ფეხსაცმელები—60000 მანეთი, წყვილი ჩულქი—3000 მან. კოსტიუმი რომ შეიკეროს კაცმა დაუჯდება—200.000 მანეთი. ამნაირად მიმდინარეობს საბჭოთა რუსეთის სატახტო ქალაქის ცხოვრება.

ბოლშევიკები და ოფიცრობა.

ყუბანის პარტიზანულ რაზმების მეთაურები ოფიცრები და სარდლები მთლად ჯაჭვლეტილია ბოლშევიკების მიერ. მათ შორის ბოლშევიკების ტირანიის მსხვერპლად გახდნენ: კრიჟანოვსკი, ჟურაკოვსკი, ბონდარენკო, მარტინოვი და ბევრი სხვა. საერთოდ უნდა აღინიშნოს რომ ბოლო დროს ბოლშევიკები აფიცრებს ძალიან ალმაცერად უცქერიან. ყოველგვარი ნდობა დაჰკარგეს მათში და მუდამ ცდილობენ ოფიცრების განდევნას ჯარებიდან.

„კრასნაია ზარიას“ დაღუპვა.

კრონშტატში აფეთქდა და დაიღუპა ბოლშევიკების დიდი ჯავშნოსანი „კრასნაია ზარია“. მოჰყვა 130 კაცი.

პროტესტი ბოლშევიკების პოლიტიკის წინააღმდეგ.

ბელგიის მუშათა კონგრესზე გამოტანილი იყო პროტესტი ბოლშევიკების პოლიტიკის წინააღმდეგ. ამ კონგრესზე გამოსთქვეს სურვილი შეუერთდნენ მეორე ინტერნაციონალს.

ბოლშევიკების პროპაგანდა წითელ ჯარში.

ბოლშევიკებმა დაარყვეს რა თავიანთ წითელ ჯარებს, რომ მათში უკმაყოფილება დღითი დღე იზრდება მიჰმართეს ფაროე პროპაგანდას და პროპაგანდასაც ეწევიან ყოველ მხრივ, სიტყვით თუ საქმით. არავითარ დათმობებზე და კომპრომისებზე ბოლშევიკები არ მიდიან. ბოლოს დროს მათ თავი მოუყარეს ერთ ინტელიგენციის ჯგუფს, რომელსაც დაევალა წითელ ჯარში აგიტაცია გასწიოს ბოლშევიკების სასარგებლოდ. ბოლშევიკები ამ მიზნისათვის რამდენიმე მილიონს ხარჯავენ და იმედიც აქვთ თავიანთ ლოზუნგებით უსათუოდ გაიმარჯვებენ.

ბრძოლა პროსტიტუციასთან.

„იზვესტია“ იუწყება: ჩვენ გულახდილათ უნდა განვაცხადოთ, რომ ჩვენში პროსტიტუცია ისეთ მდგომარეობაში იმყოფება, რომ ეს ბრძოლა მეტად საჭიროა და თანადროული. ამ მიზნით მიღებულია მთელი რიგი ზომებისა, მაგალითად: 1) უპატრონოთ დარჩენილ ოარიბ ახალგაზრდა ქალთა დასახმარებლად ეწყობა კომუნალური სახლები, 2) თვალ-ყურს ადევნებენ უპატრონოთ და უზედამხედველოთ დარჩენილ შავშვებს, 3) ახალგაზრდობას ლექციების საშვალებით ასწავლიან ზნეობრივ საკითხებს, რომლებიც ოჯახობასა და ცოლქმრობას შეეხება. „იზვესტიას“ ცნობით თვითმშრომელი ქალებიც კი პროსტიტუციას ჰკიდებენ ხელს იმ მიზნით, რომ თავისი რეალური ხელფასი გაადიდონ.

ფრონტის უნუგეშო მდგომარეობა.

„იზვესტია“ აღნიშნავს რუსეთის სასურსათო ფრონტის მეტად არა სანუგეშო მდგომარეობას. ცუდად მიმდინარეობს პურის შეკრების საქმე. ციმბირში თანდათან ძლიერდება „კულაკების“ ოპოზიცია და საბჭოთა აპარატები კარგათ ვერ არის მოწყობილი.

დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა საგენტო).

გერმანული ცნობები.

პროტესტი.

გერმანული გაზეთები ენერგიულ პროტესტს აცხადებენ საფრანგეთის პრესის წინააღმდეგ, რომელიც ფერენბახისა და სიმონსის მიერ რეინის ოლქში წარმოთქმულ სიტყვებს შურის ძიების იდეის გამოწვევის და სააგიტაციო ხასიათს აძლევენ.

გერმანელებს აზრითაც არა აქვს შურისძიება, მაგრამ მათ აღიზიანებს საფრანგეთის მუქარა, რომ იგი დაიკავებს გერმანიის ტერიტორიას და ეს მიუხედავათ იმისა, რომ გერმანიამ თავის განიარაღებითა და ქვა-ნახშირის მიწოდებით საზავო ხელშეკრულობის აღსრულებაში კეთილსინდისიერობა დაამტკიცეს.

გერმანია და ანტანტა.

გერმანიის პრესა ამტკიცებს, ლონდონის გაზეთ „ტაიმსის“ ინსინუაციის სიყალბეს, რომელიც ეხება იმას, თითქოს გერმანია არ ასრულებს თავის ვალდებულებებს ანტანტის წინაშე. პრესა აღნიშნავს, რომ გერმანიის მიერ მოკავშირეთადმი მიწოდებული ქვანახშირი აღემატება იქ 20 მილიონ ტონას, რომელიც გერმანიას 1921 წ. პირველ მაისიმდის უნდა გადაეცა. გერმანიის პრესა აყვედრის მოკავშირეებს მას, რომ მათ გადასდეს ზარალის ანაზღაურების შესახებ დანიშნული საერთაშორისო კონფერენციის სხდომები.

გერმანიის ნოტა ერთა ლიგას.

გერმანიის მთავრობამ ახალი ნოტით მიმართა ერთა ლიგას; ამ ნოტაში იგი აცხადებს, რომ ეიპენისა და მალმედის საკითხის გადაწყვეტის უფლება აქვს ერთა ლიგის საერთო ყრილობას და არა მის საბჭოსო.

სიკვდილის რიცხვის გადიდება.

პრუსიის მინისტრის განცხადებით 1915 წლიდან გერმანიაში საქმელის სიმცირის ნიადაგზე მეტად გადიდებულია სიკვდილის რიცხვი. კვდებოდენ უმთავრესად ჭლექითა და სხვა ავადმყოფობით. 1918 წ. 570,000 მეტი კაცი დაიღუპა. მინისტრი აღნიშნავს, რომ გერმანელთა უდიდესი ნაწილი ამ ჟამადაც მეტად ცუდად საზრდოობს, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც გერმანიას ჩამოაშორეს მდიდარი პროვინცია პოზენი. მინისტრი გამოსთქვამს შიშს, რომ გერმანიას საშინელი უბედურება მოელის მაშინ, თუ საფრანგეთმა კვლავ განაგრძო მეწველი ძროხების მოთხოვნაო.

ფრანგული პრესა.

ბირჟის კურსი

ლონდონი 57,63½, ნიუ-იორკი 16,63½, გერმანია 22½, ბელგია 106, კანადა 14,80, ესპანეთი 217½, ჰოლანდია 302½, (52½ ?) იტალია 62½, პრაგა 19, რუმინეთი 22, შვეიცარია 258½.

ბელგიის სამინისტროს შემადგენლობა

კარტონ დე-ვიარტმა ბელგიაში შეადგინა სამინისტრო შემდეგი შემადგენლობით; თავმჯდომარე და შინაგან საქმეთა მინისტრი კარტონ დე-კიარტი, იუსტიციის მინისტრი ვანდერველდე, საგარეო საქმეთა ჟასპარი და ფინანსთა კეინი.

ყირიმიდან დაბრუნებულნი.

ვრანგელთან დანიშნული დე-მარტელი ამირბარი), დი-მესნილი, გენ. გრუსა, და აგრეთვე საფრანგეთის სამხედრო და სამოქალაქო მისიის წევრები ნოემბრის 18 გემ „ვალდეკ რუსთთი“ სტამბოლში დაბრუნდნენ გენ. ვრანგელს ელიან ნოემბრის 19 20. ნოემბრის 18 სტამბოლში იყო 105,000 ლტოლვილი, აქედან სამხედრო 80,000 და და მშვიდობიანი მცხოვრებნი 25 000.

გერმანიის ცნობები.

მდგომარეობა გერმანიაში.

გერმანიის უკანასკნელმა სამხედრო გემმა დასტოვა აღმოსავლეთ პრუსიის ნავთ-სადგური ზეერაპენი; იგი გადაეცემა მილანში იტალიის მთავრობას. რეიხსტაგი მსჯელობდა კარტოფილის მოწოდებაზე მთავრობის კანტროლის აღდგენის შესახებ. რადგანაც ვაჭრობის თანამედროვე თავისუფლებამ მეტად ასწია ფასები იმ დროს, როდესაც კარტოფილის ღირსება მეტად ნაკლებია. მომარაგების მინისტრმა გერმუსმა განაცხადა, საჭიროა თანდათან მოისპოს მთავრობის კანტროლი სურსათ-სანოვაგეზე. კარტოფილის გაყიდვის ნებართვა უნდა მიეცეს სანდო ვაჭრებს და უნდა გავაძლიეროთ სასჯელი სპეკულიაციისათვის.

გაფიცვა.

მტრალზუნდის ოლქის სასოფლო სამეურნეო მუშებმა გაფიცვა გამოაცხადეს იმის გამო, რომ სოფლის მუშათა გაშვება გადასწყვიტეს.

კანტორისაგან

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ კანტორა

აცხადებს, რომ ნისია ხელის მომწერ დაწესებულებებს 20 ნოემბრიდან გაზეთი არ ეგზავნებათ ვინც ამ თვის გოლომდე ფულს არ შემოიტანს დაკლებული ნოერები შემდეგ აღარ გაეგზავნება.

საუბარი ქიაზიმ-ბეისთან.

გაზ. „სლოვოს“ უკანასკნელ ნომერში მოთავსებულია საუბარი ანგორის მთავრობის წარმომადგენელ პოლკ. ქიაზიმ-ბეისთან, რომელსაც სხვათა შორის შემდეგი განუცხადებია საქართველოსთან დამოკიდებულების შესახებ:

„საქართველოს მთავრობასთან კეთილ განწყობილების და მეგობრულ კავშირის მიზნით ჩემმა მთავრობამ დამავალა საქართველოს მთავრობასთან სრულ-უფლებიანი წარმომადგენლობა.

ანგორის მთავრობის ერთად-ერთი ძირითადი ინტერესია ნახოს საქართველო დამოუკიდებელი და ძლიერი. დამოკიდებულება საქართველოსა და ანგორის მთავრობის შორის უმთავრესათ ამ ძირითად ინტერესით განისაზღვრება.

ანატოლიის მთავრობა აფასებს საქართველოს მთავრობის შორსმჭვრეტელ პოლიტიკას. ოსმალეთმა უკვე დაიწყო ოფიციალური ურთიერთობა საქართველოს მთავრობასთან, რომლის პირდაპირი და მტკიცე პოლიტიკა ეთანხმება მის ძირითად პრინციპებს.

საქართველოში მცხოვრები მუსლიმანები საუკეთესოებით განმტკიცებულ პატივისცემას იზიარებენ.

ჩვენ ძალიან კმაყოფილი ვართ საქართველოში მცხოვრებ მუსლიმანთა მშვიდობიან ცხოვრებით. ეს გონიერი პოლიტიკა დაახლოვებს საქართველოს და ოსმალეთის მთავრობებს და უფრო განამტკიცებს მათ მეგობრულ კავშირს.

რაც შეეხება საზღვრების საკითხს, ამ შეთხვევაში მე ჩემ მთავრობასთან ვაწარმოებ მოლაპარაკებას.

ჩვენ ტ საქართველოს გვაქვს საერთო ინტერესები, რომელნიც მიუხედავათ პროპაგანდისტების კიკინისა და მტრების ცდისა გადაწყდება მშვიდობიანათ და ადგილი არ ექნება არავითარ ექსცესებს.

მე ამაში დარწმუნებული ვარ, მით უმეტეს, რომ საქართველოსა და ჩვენს შორის არ არსებობს არავითარი ფრონტი, რასაც შეუძლია შექმნას გაუგებრობა და შუღლი. საქართველომ ბევრი რამით დაიმსახურა ჩვენი სიმპატია.

მე იმედი მაქვს ჩვენს გულწრფელობაზე საქართველოს მთავრობაც გულწრფელობითვე გვიპასუხებს, და სამართლიანათ გადაწყდება ყოველი საკითხი ამ ორ სახელმწიფოთა შორის რასაც ხელს შეუწყობს პოლიტიკური რჩევა და მოლაპარაკებებიც“.

სომხეთი-ოსმალეთის ომი

საქართველოში მყოფ სომხეთის დიპლომატიური მისიის ცნობით ნოემბრის 20 ფრონტზე მდგომარეობა არ შეცვლილა. დროებითი ზავის პირობების დარღვევის შემთხვევა არ ყოფილა.

ოსმალები განაგრძობენ ყველა მიმართულებით შეტევას. გუმბრ ერეგნის რკინის გზა ქემალისტებმა ისევ დაიბრუნეს. ოსმალების მიერ დაჭერილ ადგილებში ხოცვა-ჟლეტა არ ყოფილა. ქიაზიმ ფაშამ მოწოდება გამოუშვა, სადაც ნათქვამია რომ ოსმალთა ახალი მთავრობა დაიცავს ქრისტიან ტ მუსულმან მცხოვრებთა ინტერესებს. სომხები ანტანტის მიმართ ცუდათ არიან განწყობილნი.

ყარსში შესვლის შემდეგ ოსმალეთის ჯარმა მოწოდება გამოუშვა, რომელშიც ნათქვამია, რომ სომხეთის ყოველივე უბედურებაში დამნაშავეა დაშნაკილთა საგლოშატების პარტია, რომელიც ინგლისის და საფრანგეთის იმპერიალისტთა ბრძანებას ასრულებს. ოსმალეთის ახალი მთავრობა ყველა მცხოვრების ინტერესებს დაიცავსო.

ახალი ამბები

კონტრაბანდისათვის. იუსტიციის სამინისტრომ დაამუშავა მთავრობის წარსადგენად კანონების გადამსინჯავ კომისიის მიერ შედგენილი კანონ-პროექტი კონტრაბანდისათვის ჯარიმის და სასჯელის დადების შესახებ. პროექტში სასჯელის შემდეგი სახეებია გათვალისწინებული: კონტრაბანდით შემოტანილ ან გატანილ საქონლის ჩ მორთმევა, ჯარიმა 300.000 მანეთამდე, დატუსაღება 2 წლამდე და გამასწორებელი სახლი. პროექტში გათვალისწინებული არის აგრეთვე საქონლის გადასატან საშუალებათა ჩამორთმევა პროექტი კონდრაბანდის ყველა სახეებს დეტალურად არკვევს.

საერობო მოღვაწეთა ყრილობა. ერობათა კავშირმა დაადგინა მოიწვიონ სასწრაფოდ საერობო მოღვაწეობის ყრილობა, რომელმაც საბოლოოდ უნდა განიხილოს პროექტი კანონისა ერობის თვითმართველობის შესახებ.

ელექტრონის სადგურები. ნოემბრის 22, დღის 2 საათზე, ვაჭრობა და მრეწველობის დეპარტამენტში შესდგება კრება ტფილისის ელექტრონის სადგურებთათვის დახმარების აღმოჩენის საკითხის განსახილველად.

საქალაქო შემოსავლის წესდება.

ფინანსთა სამინისტრომ შეიტანა მთავრობაში განსახილველად პროექტი კანონისა საქალაქო შემოსავლის წესდების შეცვლის შესახებ. პროექტში აღნიშნულია, რომ მძიმე ფინანსიური პირობები, რომელშიაც იმყოფება საქალაქო და საერობო თვითმართველობანი, გვიკარნახებენ დავიჩაროთ მათი საბიუჯეტო უფლებების რეგლამენტაცია, რათა მიეცეთ მათ ფართო საშვალება გამოიყენონ რაციონალურად მათ განკარგულებაში მყოფი მატერიალური რესურსები, რათა მათი შემოსავალი იქნეს აყვანილი იმ ნორმამდე, რომელიც საჭირო იქნება მიმდინარე ხარჯების უდეფიციტო დასაფარავად. პროექტი აღნიშნავს, რომ ამ ჟამად შეუძლებელია სახელმწიფო და ადგილობრივი მეურნეობათა სფეროების სავსებით განსაზღვრაო. ქალაქთა და ერობათა საბიუჯეტო უფლებათა გაფართოვების უფრო მიზან-შეწონილ ფორმად არსებულ გარდამავალ ხანაში ჩითვლება ადგილობრივ თვითმართველობათათვის მონაწილეობის უფლების მინიჭება მუშაობაში და სახელმწიფო რეალურ გადასახადების აკრეფისაგან დაგროვილ შემოსავალში, და აგრეთვე ამ თვითმართველობათა ხარჯთ ამკრებ ინსპექციასთან თანამშრომლობაში თანდათანობით ჩაბმაო. სახელმწიფო და ადგილობრივ გადასახადების ასეთი უნიფიკაცია ბევრად გაამარტივებდა ტეხნიკურ სამუშაოს, შეამცირებდა შრომას და გასავალს, და გადამხდელს საშვალებას მისცემდა ქონდა საქმე მხოლოდ ერთ გადასახადის ფურცელთან. ეს დასაწყისი რეალურ გადასახადთა უნიფიკაცია უდევს საფუძვლად აღნიშნულ კანონ-პროექტს. ამასთანავე იგი ადგილობრივ თვითმართველობას სრულ უფლებას უტოვებს ადგილობრივ იმ გადასახადების მოპყრობის მიმართ, რომელსაც სახელმწიფო გადასახადთან არავითარი კავშირი არ აქვს. კანონ-პროექტი ქალაქთა საბიუჯეტო უფლების გარკვევას ეხება მხოლოდ. ერობათა საბიუჯეტო უფლების პროექტი კი დამატებით იქნება წარდგენილი. პროექტს საფუძვლად საქალაქო შემოსავალთა მომქმედი წესდება უდევს. ეს წესდება გადაათვალიერა ქალაქთა და ერობათა კავშირმა. ახალი პროექტის მთავარი განსხვავება გამოიხატება იმაში, რომ ქალაქები ახალი პროექტის ძალით სახელმწიფო საწარმოო გადასახადების შემოსავალში იღებენ მონაწილეობას. მონაწილეობის პროცენტი ისაზღვრება პერიოდულად და მისი შეცვლა სახელმწიფოსა და ქალაქთა საბიუჯეტო საჭიროების და მიხედვით შეიძლება. ყოველ შემთხვევაში ქალაქები იჩენენ ნამდვილ შემოსავლის წყაროს, ვინაიდან საერთოდ, სახელმწიფო საწარმოო გადასახადიდან შემოსული თანხა 1920 წ. 500 მილ. მან. უდრის. სრულიად ახალი და ქალაქის წმინდა გადასახადად უნდა ჩითვალოს ბინაზე ან ცალკე გასაქირავებელ ოთახებზე დადებული გადასახადი. საერთოდ პროექტი შეიცავს რიგ დებულებებს, რომელიც აწესრიგებს და აუმჯობესებს ბევრად საქმის მდგომარეობას და იძლევა საშუალებას ქალაქის ფინანსიურ ახალ ფორმის მეურნეობაზე უმტკივნეულად გადასვლას. მთავრობას განსახილველად განმარტებითი ბარათის გარდა წარედგინა აგრეთვე თვით პროექტი საქალაქო შემოსავლის წესდების შეცვლის შესახებ. პროექტი 17 მუხლისაგან შესდგება.

ხელოვნება

ოპერა „ლალატი“.

ნოემბრის 19-ს სახელმწიფო პირველ თეატრში დაიდგა ოპერა „ლალატი“. მუსიკა იპოლიტოვ-ივანოვისა.

რასაკვირველია, სუმბათაშვილის დრამა სჯობია იპოლიტოვ-ივანოვის ოპერას. „ლალატი“ ტრაგედიაა და დრამატიზმის მხრივ ეგენიალურია. ასეთი რთული დრამატიული ნაწარმოების გადატანა საოპერო ლიტერატურაში ძნელ საქმეს წარმოადგენს. რომელ კომპოზიტორსაც აუღია დიდებულ დრამატურგის ნაწარმოები ცდა თითქმის ყოველთვის მარცხით დამთავრებულა; მაგალითები: ტომას „ჰამლეტი“, როსინის „ოტელო“, ჰუნოს „რომეო და ჯულიეტა“. სავსებით ვერ შესძლო იპოლიტოვ-ივანოვმაც „ლალატის“ სიღრმის ამოწურა და მელოდიურ ტკბილ სამფლობელოში გადატანა.

„ლალატი“-ს შინაარს უნდოდა ვაგნერის კვერთხის დაცემა და ვერდის მელოდიური ახმაურება.

იპოლიტოვ-ივანოვის ოპერაში არ არის აღმოსავლეთის მელოდიების ცხელი ეკზალტაცია. მასში არც სამხრეთის პათოსია და არც მუსიკალური მისტიურობა: აღმოსავლეთი კი დათენთილია მისტინიზმით.

მაგრამ, მიუხედავად ამისა, ოპერა სერიოზული მუსიკალური ნაწარმოებია და დიდად საყურადღებოც.

თუ იპოლიტოვ-ივანოვმა თავის ოპერაში ვერ დაარწმუნა სავსებით მსმენელი აღმოსავლეთის ნამდვილ კოლორიტის თვისებაში, მან მაინც აღმოსავლეთი გვაგრძნობინა და ამის მშვენიერი მაგალითია თუ გინდ სოლეიმანის უკანასკნელ მოქმედების არია „სული ჩემი სევდამ მოიცვა“. აქ მართლაც გრძნობთ ირანის მთების არწივს. აღმოსავლეთის სატრაპის სულის კვეთების, რომელიც არაბეთის უდაბნოში აღიზარდა და „ვაიარა უდაბნოს მლაშე ადგილები და სვა წყალი ჰინდისა“. მეტად საინტერესოდ არის განვითარებული ეს არია. მუსიკალური მოდულაცია ისევე მკვეთრია და ცივი, როგორც თვით სოლეიმანის სული.

რაც შეეხება ქართულ მუსიკას ამ ოპერაში აქაც ბევრი რამ არის გაკეთებული. შესანიშნავია ოპერის უვერტიურა. ქეთევან დედოფლის გოდების მოტივზე დაწერილი. მუსიკალური ფიგურაცია ნამდვილი აღმოსავლეთის იერისაა.

ფარდა აიხდება თუ არა პირველ მოქმედებაში თქვენ ყურადღებას იპყრობს მხევალთა გუნდის სიმღერა. ეს სიმღერა ქალაქურ მოტივებზეა აგებული და მასში ბევრია ქართული. შემდეგ რჩქაიას ზღაპარი „ორთავ თვალის სინათლეს“ მოტივზეა დაწერილი და კარგ შთაბეჭდილებასაც ახდენს. რეჩიტატივები სოლეიმან და ზეინაბისა შესანიშნავია და ორიგინალური.

მეორე მოქმედებაში ყურადღებას იპყრობს ოთარბეგის არია „კათალიკოსი მოჰკლეს“. მაღალ ტესიტურაზე დაწერილი. შესანიშნავია თავისი მუსიკალურ ტონალიზაციით და მოქნილობით. ბესოს არია „მითხარ, მითხარ“ მუხამბაზური კილოზეა აშენებული, მესამე მოქმედების ირაკლის არია და ფინალი—ყოველივე ეს გადმოთვლილი იპოლიტოვ-ივანოვს დიდი ინსტრუმენტალური კალმის მოსმით აქვს შესრულებული. მთელი ოპერის კონტრაპუნქცია დამძიმებულია მუსიკალურ დრამატიზმით. მართალია, აქ მაინც ოპერის კომპოზიცია შედევრად ვერ ჩაითვლება, მაგრამ როგორც მუსიკალური დრამა ბევრნაირად საყურადღებოა.

ამ ოპერაზე მეტად დიდი შრომა დასდო კომპოზიტორმა კ. ფოცხვერიაშვილმა. მან ვადმოსთარგმნა ეს ოპერა, არა თუ გადმოსთარგმნა, გადმოაქართულა. ქართული სული ჩაუდგა. ლიბრეტო გააცოცხლა. თვითეული სიტყვა ათასჯერ ასწონ-დასწონა და ისე შეუფარდა ოპერის მოთხოვნილებას. მასვე ხელახლად მოუხდა ოპერის ორკესტროვკა, რომელზედაც ნახევარ წელზე მეტი იმუშავა და სულ მცირე ხნის განმავლობაში ოპერა სავსებით დაამთავრა. უფრო მეტი, ფოცხვერაშვილმა ოპერას ორგინალური ელფერი მისცა.

მაგრამ არა ნაკლებ ყურადღების ღირსნი არიან: ალ. წუწუნავა, მიხ. მორდკინი და მ. სტოლერმანი.

ალ. წუწუნავას დადგმა ყოველ მხრივ შესანიშნავი იყო. ამ ადამიანმა იცის ორიგინალური კომბინაციები და სცენის პლანიროვკა. აქვს ალღო და უნარი სცენიურ ილიუზიის მთლიანობის გამოსახატად. მეორე მოქმედების სურათში (ოთარ-ბეგის კარ-მიდამო) გადაშლილია ქართული პეიზაჟი როგორც ხელის გული. უკანასკნელი სურათი, განსაკუთრებით ფინალის სცენა გრანდიოზულ შთაბეჭდილებას სტოვებს.

მიხ. მორდკინმა ერთხელ კიდევ გვიჩვენა ჯადოსნობა თავისი ხელოვნების. ლეკური, ხმლებით ცეკვა—არამც თუ უაღრესად ორგინალური იყო არამედ დიდად ესტეტიურიც.

დირიჟორმა სტოლერმანმაც განსაკუთრებული ტემპერამენტით გაახმოვანა იპოლიტოვ-ივანოვის პარტიტურა.

შესრულების მხრივაც ბევრი რამ იყო მიხწეული.

ზეინაბის პარტიაში ქ-ნი ალეშკო გამოვიდა. ზეინაბის პარტია მეკო-სოპრანოსთვის არის დაწერილი, მაგრამ ქ-ნ ალეშკოს დრამატიული სოპრანოც კარგად მიუდგა ამ პარტიას. მომღერალ ქალს კარგად შეესწავლა ქართული სიტყვები და ზოგიერთ ადგილსაც გასაკვირველი პათოსით გადმოგვცემდა ზეინაბის სულის კვეთებას.

ოთარბეგს ბ-ნი ელიზიშვილი მღეროდა. ბ-ნ ელიზიშვილს მაღალი რეგისტრები კარგი აქვს. ბარიტონისთვის მაღალ ნოტას „სოლს“ თავისუფლად იღებს. ნაკლები ხმიანობისაა მისი საშუალო რეგისტრი-მედიუმი.

ქ-ნი ბურაგო-ცეხანოვსკაიასაც არა უჭირდა რა (რუქაია).

ვოკალური ჟულტურით გადმოგვცა სოლეიმანის პარტია ბ-მა საბინინმა. მომღერალის ხმა სავსე იყო მეტალით და განცდით. მისმა სოლემანმა კარგი შთაბეჭდილება მოახდინა.

კარგები იყვნენ: ბ-ნი კურბატოვი (ბესო) და ბ-ნი დემიანენკო (ანანია).

როგორც ყოველთვის ბ-ნი სარაჯიშვილი ამ საღამოსაც მომხიბლავი იყო ერეკლეს პარტიაში. მომღერალმა ჩვეულებრივი სილამაზით და მუსიკალობით შეასრულა ირაკლის მესამე მოქმედების არია.

ერთობ ოპერამ დიდი შთაბეჭდილება დასტოვა დამსწრე საზოგადოებაზე. უეჭველია, „ლალატი“ თვალსაჩინო ადგილს დაიჭერს რეპერტუარში.

ვასტანგ გარრიკი.

ისტორიული წერილები

რუსეთისათვის პირველად ჯარში გაწვევის ისტორია.

(გაგრძელება)

ამ დროს გენერალ ჯომირლაძემ უთხრა ასეთი სიტყვა, თუ კი მაგისთანა პროექტი გინდოდათ გაგეყვანათ, მაშინ ჩვენ რაღას გვიშორებდით, დაგვიშორეთ და თან გვეკითხებით, როგორ მოგწონთო? მაგ პროექტს ჩვენ ვერ მოვიწონებთ. გაიმართა ქართველ გენერლების საყვედურები; ლაპარაკში გენერალმა ისტორიკოსმა პოტომაც მიიღო მონაწილეობა და პროექტის შემდგენის საპასუხოთ სთქვა:

თავადი ჭავჭავაძე სწორეთ ლაპარაკობს, ჩვენთვის შესაფერი არ არის, რომ ჩვენ ქართველებს მონებს უწოდებთ, ეს ჩვენთვის მიუღებელია. ეს როგორ იქნება, ქართველები თავიანთ ნებით შეუერთდენ რუსეთს ესენიც ისეთივე მოქალაქენი არიან, როგორც ჩვენ რუსები.

ქართველებმა გაგვიხსნეს თავის ქვეყნის კარები, შემოგვიშვეს შიგ თავისუფლათ, მათვე დაგვიმორჩილეს მთელი აღმოსავლეთი, მათგან გამოვიდნენ ჩვენს სამხედრო ასპარეზზე მთელი გენერალიტეტი, სახელოვანი გმირები, აუარებელი რიცხვი, რომელთაც გიო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რგის ჯვრები აქვნდათ და ამავე დროს, ამ ხალხს დამსახურებულს და ქებულს მხედრობას ჩვენ ჩვენს მონებს ვეძახითო.

მეორე კიდევ ასეთის პროექტით ქართველთაგან ჯარის მოკრება აროს მათი ისტორიული ღირსების შეურაცყოფა და შეგინება მათი. ამის შემდეგ ილაპარაკა კიდევ წინააღმდეგ ენერალმა ჯომარლიძემ და ნიკო ჭავჭავაძემ. ეხლა განვიხილოთ მოკლეთ სამ პუნქტების მუხლები. 1. ქართველებში ჯარს კრებენ, ამათ ტანსაცმელს აცმევენ რუსულს ჯარის მსგავსათ. ქართველს ჯარს გზავნიან რუსეთის გუბერნიებში.

2. ქართველი ჯარისკაცები არსად არ შეიძლება რომ გაგზავნილ იქმნენ სამ კაცზე მეტი რომ ამ სახით ათ რუსული ენა ადვილათ შეისწავლონ. მათი მრავლათ ყოფნა ერთად არ შეიძლება. 3. ქართველ ჯარისკაცმა სამსახურში რაც გინდ დაიმსახუროს, მაინც მათი უფროსათ დაყენება რუსის ჯარისკაცებზე არ შეიძლება.

4. თითო ქართველი ჯარისკაცი უნდა ემორჩილებოდეს რუსის სამს ჯარისკაცს და ეს ქართველი ამ რუსის სამს ჯარისკაცს უნდა ურეცხდეს ფეხის ტილოებს და წინდებს.

დანარჩენ მუხლებს ჩვენ არ შევეხებით, ესეც კმარა, რუსი გენერლის ბოროტების დასამტკიცებლად.

ამ პროექტმა ქართველებშიც დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. ნიკო ჭავჭავაძე მთავარმართებელმა მოიხმო და დაამშვიდა, დააწყნარა და უთხრა:

თქვენ დამშვიდდით, წადით თქვენს სამსახურში და ჯარის მოკრება ისე იქნება როგორც თქვენ მოგითხოვნიათ და თქვენთან ქართველთ სხვა გენერლებსაც. ამაზე ნიკო ჭავჭავაძემ მთავარმართებელს პირობაც ჩამოართვა, მის შემდეგ იგი „თემირხანშურაში წავიდა თავის ალაგზე სამხედრო გუბერნატორათ.

ზ. ჭ.

(შემდეგი იქნება)

მილიცაიში

მადლობის გამოცხადება.

ამონაწერი ქ. ტფილისის მილიციის უფროსის ბრძანებიდან.

მეორე სამილიციო უბნის ხარჯთ-ამკრეფი ნაწილის დათვალიერებამ, რომელიც მოახდინა ქალაქის კანტროლორებმა ქუთათელაძემ და აღლაძემ ნათელჰყო აღნიშნულ ნაწილში სრული წესიერი და პროდიქტიული მუშაობა, რაც სჩანს ნოემბრის ოთხს, შემდგარ აქტიდან № 13/II. ქალაქის მოურავის წინადადებით აღნიშნულ უბნის ხარჯთ-ამკრეფ ნაწილის გამგეს კომისრის თანაშემწე ალექსანდრე შანშიაშვილს ვუცხადებ ულრმეს მადლობას იმ ენერგიულ შრომისათვის, რომელსაც ის ეწევა დაკისრებული საქმის წესიერ ასრულებისათვის.

ᲐᲮᲪᲘ ᲓᲔᲒᲐᲜᲘ

დაიკარგა სათადარიგო სამოსწავლო ყრილობის უმცროსი ნაცვლის ნამსახურობის მოწმობები მიცემული სადარაჯო ათასეულიდან და მეშვიდე ათასეულიდან ლევან იგივე უშანგი სეფეს ძე ლორთქიფანიძის სახელზე ჩაითვალოს გაუქმებულად. 3785 3—3

დაიკარგა პასპორტი № 3009, მიღებული სამურზაყანოს სამაზრო მილიციის უფროსისგან 1920 წ. და აცრის მოწმობა, მიღებული ბათომის ქალაქის საავადმყოფოდან ესტატე ნეტუს ძე შონიას სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 3794 3—3

დაიკარგა პასპორტი № 189 მოსე აბრამის ძე ტოპილოვსკის სახელზე, მიღებული რუსთა ეროვნულ საჰოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3774 3—3

დაიკარგა სამხედრო ბეგრიდან თავისუფლების მოწმობა, მიღებული ქუთაისის სამხედრო ჰოსპიტალიდან და პირადობის მოწმობა, მიღებული ხრეითის (შორაპნის მაზრა) თემიდან ერასტი იასონის ძე შეყრილაძის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 3779 3—3

დაიკარგა სამხედრო ბეგრიდან თავისუფლების მოწმობა № 6663 კონსტანტინე აბრამის ძე იორდანოვის სახელზე, მიღებული ტფ. მაზრის სამხედრო აღრიცხვის უფროსისაგან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3766 3—3

დაიკარგა საბინაო დავთარი ბელი ბანდში № 3 მდებარე სახლის, რომელიც ეკუთვნის კრიხელს. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3765 3—3

დაიკარგა უვადო პასპორტი № 441 ნეოფიტე დიმიტრის ძე კაჭარავას სახელზე, მიღებული სენაკის სამაზრო სამმართველოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 37845 3—3

დაიკარგა საბინაო დავთარი ვორონცოვის ქ. № 101 მდებარე სახლის, რომელიც ეკუთვნის მნაცაკანოვს. 3867 3—3

დაიკარგა პასპორტი № 22556 ალეისა კოსანოღლი კარაევის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის უფროსისაგან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3795 3—2

დაიკარგა პასპორტი და სამხედრო ბეგრიდან თავისუფლების მოწმობა ნასყიდა ივანეს ძე მამუდოვის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 3796 3—2

დაიკარგა დაჭრილ დასახიჩრებულთა კავშირის საწევრო ბარათი № 314 ალექსანდრე რომანოზის ძე თარგამოვის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 3797 3—2

დაიკარგა სარეგისტრაციო ბარათი № 1830 მიღებული ტფ. სამხედრო აღრიცხვის უფროსისგან და მეტრიკა პარმენ სოფრომის ძე გეწაძის სახელზე. გაუქმებულად ჩითვალოს. 3803 3—2

მიღებული ოქტომბრის 1917 წ. რუსეთის სატრანსპორტო დადამზღვევ საზოგადოების მოსკოვის განყოფილებიდან წარსადგენ კვიტანცია № 6393553, რომლითაც იყო გამოგზავნილი ქუთაისში ოთხი ცალი ეტლის ბირბლები თავისი რეზინის შინებით და ღერძებით დავკარგე მეანტონ ილარიონის ძემ ხეცურიანმა, გაუქმებულად ჩაითვალოს. 3806 3—2

დაიკარგა პასპორტი ივანე მიხეილის ძე კუპატაძის სახელზე, ს. მონაკის (ტფ. მაზრა) სამმართველოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3786 3—2

დაიკარგა პასპორტი № 4805 ლუბა ილიას ასული არგუთინის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის უფროსისგან 1918 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3787 3—2

დაიკარგა უვადო პასპორტი სერგო პოლოსის ძე ტივტიკიანცის სახელზე, მიღებული ახალციხეში. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3788 3—2

დაიკარგა საოჯახო პასპორტი ვიქტორ ანდრიას ძე უჯმაჯურიძის სახელზე, მიღებული შინ. საქ. სამინისტროდან 1919 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3790 3—2

დაიკარგა პასპორტი № 93 ალექსანდრა გრიგორის ასული ბერტნიკოვის სახელზე, მიღებული მანგლისიდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3791 3—2

დაიკარგა პასპორტი № 835 კარაპეტ აჯიბაბის ძე ტერ-ოგანესიანცის სახელზე, მიღებული ალექსანდროპოლის მდაბიო მოქალაქეთა სამმართველოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3792 3—2

დაიკარგა პასპორტი ალექსანდრა პატვაკანის ძე აგალაროვის სახელზე, მიღებული ნუხის ქალაქის გამგეობიდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3793 3—2

დაიკარგა საბინაო დავთარი საბურთალოში მდებარე სახლის, რომელიც ეკუთვნის გიგო წითურიშვილს. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3783 3—3

დაიკარგა საზღვარ გარეთის პასპორტი მარიამ თეოდერეს ასული სეტუნიანის სახელზე, მიღებული სომხეთის კონსულადან ტფილისში გაუქმებულად ჩაითვალოს. 3792 3—3

დაიკარგა პასპორტი ანა მიხეილის ასული შტერენბერგის სახელზე, მიღებული კავკავის ქალაქის მილიციიდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3834 3—1

დაიკარგა ტფ. სახელმწიფო უნივერსიტეტში შესასვლელი ბილეთი მარიამ ამბროსის ასული გაწერელიას სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3836 3—1

დაიკარგა პასპორტი № 1032 შუშანიკა მანუკის ასული კარაპეტიანცის სახელზე, მიღებული ქ. ახალციხეში. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3837 3—1

დაიკარგა პირადობის მოწმობა სურათით № 24 მარიამ ალექსის ასული პლახოვის სახელზე მიღებული სახელმწიფო დრამის თეატრის კომისარისაგან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3839 3—1

დაიკარგა წმ. ნინოს ქალთა გიმნაზიის შვიდი კლასის დამთავრების ატესტატი 1918 წ. სოფიო ივანეს ასული მაქსიმოვის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 3840 3—1

დაიკარგა ტფ. სახელმწიფო უნივერსიტეტიდან მიღებული მატრიკული რიგად გოგოხიას სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3841 3—1

დაიკარგა პასპორტი № 1238 კენზი ქავამურას სახელზე, მიღებული სევასტოპოლის მილიციის უფროსისაგან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3842 3—1

დაიკარგა პასპორტი, მიღებული ტფ. მილიციის უფროსისაგან და ჯვრის წერის მოწმობა ათანასი ვასილის ძე ბაკუმენკოს სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 3844 3—1

დაიკარგა საოჯახო პასპორტი მიღებული ნიკორწმინდის კომისრისაგან და სამხ. ბეგრიდან თავისუფლების მოწმობა ვარლამ სპირიდონის ძე დვალის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3848 3—1

დაიკარგა პასპორტი იასონ ბათლომეს ძე დაუშვილის სახელზე, მიღებული ს. შქმერიდან (რაჭის მაზრა). გაუქმებულად ჩაითვალოს. 3851 3—1

დაიკარგა ტფ. სახელმწიფო უნივერსიტეტიდან მიღებული სალექციო წიგნაკი და შესასვლელი ბილეთი ელენე თეოფილეს ასულის ბაბუნაშვილის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3852 3—1

ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲚᲐᲥᲝ ᲡᲐᲠᲔᲓᲘᲢᲝ ᲡᲐᲖᲦᲕᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲒᲔᲝᲑᲐ

საზ. წესდ. 73 § თანახმად ამით აცხადებს, რომ 1920 წლის 23 დეკემბერს დილის 11 საათზე, გამგეობის შენობაში საკუთარ სახლში პუშკინის ქუჩაზე, საჯარო ვაჭრობით გაიყიდება გაუმეორებლად უძრავი მამული ქვემო ჩამოთვლილ პირთა, მათ მიერ საზოგადოებიდან აღებულ სესხზე ხვედრი გადასახადის შემოუტანლობის გამო, ტფილ. სამოქალაქო საკრედიტო საზოგადოების წესდების §§ 11, 12 და 13 ძალით. ეს ვაჭრობა, თუ უშედეგო იქნა, მეორედ და უკანასკნელად მოხდება 1920 წ. დეკემბრის 30.

№ 1140. ზანდუკელი ოთარი, სამ-სართულიანი სახლი ორი ნაჭერი მიწით ერთი ზომით 23½ კვ. ს. მეორე 9,9 კვ. ს. ან რამდენიც აღმოჩნდება, მე-2 უბ. ყოფ. 2-რე ნაგორნი ქ., ეხლა პრიუტის ქ. კაპიტ. ვალი დარჩენილი გადასახადი 421 მ. 40 კ.

№ 2870. ოგომონოვები ავაქა და შამირა სამი ნაჭერი მიწა ზომით 132½ კვ. ს. ან რამდენიც აღმოჩნდება, ორი სამ-სართულიანი სახლით 5 უბ, ხლებნისა და გეორგიევის მოედნის შესახვევი და ფეთხაინის ქ. კაპ. ვალი 33.149 მ. 43 კ. დარჩენილი გადასახადი 9.366 მ. 60 კ.

№ 3235 ივან იუზბაშოვი ხან საგნახსკი დავით სამი-ნაჭერი მიწა ზომით ერთი 900 კვ. ს., მეორე 183 კვ. ს. და 7½ არშ. კვ., მესამე 193²/₂₅ კვ. ს. ან რამდენიც აღმოჩნდება, ყველა მათზე მდებარე შენობებით და კუთვნილობით, მე-2 უბ. რუსთაველის პრ. ევსტაფიევის და ტიპოგრაფის ტუპიკი. კაპიტ. ვალი 245.522 მ. 60 კ. დარჩენილი გადასახადი 85.200 მ. 80 კ.

№ 3494. ტერ-მხითარიანცი მარიამ ნაჭერი მიწა ზომით 46 კვ. ს. ან რამდენიც აღმოჩნდება თავის შენობებით 5 უბ. ფეთხაინის ქ. ფეთხაინის ეკლესიის გვერდზე კაპიტ. ვალი 604 მ. 01 კ. დარჩენილი გადასახადი 520 მ. 80 კაპ.

№ 3686. ბერიაშვილი ევსტაფი, ილია და დარია მიწა ზომით 36 კვ. ს. ან რამდენიც აღმოჩნდება შენობებით მე-2 უბ. დავიდოვის ქ. კაპ. ვალი 450 მ. 65 მ. დარჩენილი გადასახადი 543 მ. 80 კაპ.

№ 5616. ლაზარევები მაგდალინა და გიორგი ორი ნაჭერი მიწა, პირველი ზომით დაახლოებით 66 კვ. ს. მეორე ზომით დაახლოებით 87 კვ. ს. შენობებით 10 უბ. ელიზავეტინსკი ქ. კაპიტ. ვალი 15.097 მ. 18 კაპ. დარჩენილი გადასახადი 1243 მ. 80 კ.

№ 6063. რუსული კლუბი ნაჭერი მიწა ზომით 1348,05 კვ. ს. ან რამდენიც აღმოჩნდება შენობებით და ბაღით 10 უბ. მიხაილოვსკი ქ. კაპიტ. ვალი 77.287 მ. 92 კ. დარჩენილი გადასახადი 7.127 მ. 30 კ.

№ 6638. ნაზაროვ ნაზარ ნაჭერი მიწა ზომით 254 კვ. ს. ან რამდენიც აღმოჩნდება შენობებით 12 უბ. ფოთის ქ. კაპიტ. ვალი 33.679 მ. 19 კაპ. დარჩენილი გადასახადი 4280 მან. 80 კ.

№ 7103. მელიქ პაშაევა ეკატერინა ნაჭერი მიწა ზომით 270 კვ. ს. ან რამდენიც აღმოჩნდება 9 უბ. პროექტიროვანი ქ. კაპიტ. ვალი 2.937 მ. 72 კ. დარჩენილი გადასახადი 748 მან. 30 კაპ.

№ 7406. არუთინოვ ალექსანდრე ნაჭერი მიწა ზომით 405 კვ. ს. ან რამდენიც აღმოჩნდება შენობებით მე 10 უბ. რუსთაველის პროსპ. (მიხაილოვის პრ.) კაპ. ვალი 118.800 მან. დარჩენილი გადასახადი 8.062 მ. 80 კ.

№ 7401. ოგანესიანც ტიგრან ნაჭერი მიწა ზომით 226⅞ კვ. ს. ან რამდენიც აღმოჩნდება შენობებით მე-7 უბ. ფალავანდოვის ქ. კაპიტ. ვალი 19.800 მ. დარჩენილი გადასახადი 1496 მ. 50 კ.

№ 7438. ფრიდონოვა მარია ნაჭერი მიწა ზომით 250 კვ. ს. ან რამდენიც აღმოჩნდება შენობებით 3 უბ. სერგიევის ქ. კაპიტ. ვალი 198.000 მ. დარჩენილი გადასახადი 11.625 მ.

ვაჭრობა დაიწყება ზემო აღნიშნულ ვალის გადასახადის ხვედრი ფულის, დამატებით საერთო ჯამით; ამასთანავე მამულზე შერიცხული საქალაქო გადასახადი, აგრეთვე საერობო, სახელმწიფო და სახაზინო გადასახადების შეტანა მყიდველთა ვალდებულება იქნება. საზოგადოებისადმი კაპიტალური ვალი შეიძლება გასწორდეს საზოგადოების ობლიგაციებით შესაფერ სესხზე მათი ნომინალურ ღირებულების მანეთი მანეთზე აგრეთვე შეიძლება გადავიდეს მყიდველებზე, სასწრაფო გადასახადი და სხვა გადაუხდელი კი გასწორდება ნაღდ ფულზე.

წესდების § 73 თანახმად ვაჭრობის დაწყებამდე მოვალეს უფლება ეძლევა შეიტანოს გადაუხდელი ფული პროცენტებით ვადის გასვლისათვის და ყველა გასავალი, რომელიც დასჭირდა მამულის ვაჭრობაში დანიშნას და ამით გაანთავისუფლოს მამული გაყიდვისაგან.

ყველა ქალალდი, საბუთი, რომელიც ეხება გასაყიდელ მამულს მსურველთ შეუძლიანთ განიხილონ, აგრეთვე მიიღონ საჭირო ცნობები და ამბავი ვაჭრობის პირობათა შესახებ საზოგადოების გამგეობაში დილის ათ საათიდან შუადღის 2 საათამდე, კვირა და ტაბელის დღეების გარდა. 986 3—3

რუსეთის სატრანსპორტო და დამზღვევ
საზოგადოების ქუთაისის პონტორა
ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲡ,

რომ დეკემბრის 8, 1920 წელს, დილის 10 საათზე

ᲡᲐᲯᲐᲠᲝᲗ ᲒᲐᲘᲧᲘᲓᲔᲑᲐ

წაუღებელი პაპიროსის ქალალდი, რომელიც მოსულია ოდესიდან უდოკუმენტებოთ რო|8240 და რო|10569 მარკებით. საქონლის გასინჯვა შეიძლება გაყიდვის დღეს საზოგადოების საწყობში, პუშკინის ქ., 14 სახლი გოკიელოვისა.

3850 3—1

რედაქტორის მოვალ. აღმ. გრიგოლ ბაბალიანი.